პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № _3_

2014 წ. "21" 01

ქ.თბილისი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 21 იანვრის №1 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლალი ღოღელიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტერ-მოანგარიშის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე	37
2	ბუღალტერ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-ტექნიკოსი	42
3	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერი	36.4
4	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	50
5	მესამე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60